

შპს ას ჯორჯია
31 დეკემბერი, 2018

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ას ჯორჯია

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
3. კრიტიკული საბუღალტრო შეფასებები და გადაწყვეტილებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას	18
4. არასაწმუნოების შეფასების საკვანძო წყაროები	20
5. ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	20
6. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
7. ძირითადი საშუალებები	26
8. არამატერიალური აქტივები	27
9. საინვესტიციო ქონება	28
10. დაუმთავრებელი მშენებლობა და ინვენტარი მშენებლობის პროცესში	28
11. გაცემული სესხები	29
12. ინვენტარი	30
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31
14. ფული და ფულის ექვივალენტები	32
15. სანესდებო კაპიტალი	33
16. გაცემული სესხები	33
17. ბინების რეალიზაციიდან მიღებული ავანსები	35
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35
19. სხვა საგადასახადო ვალდებულებები	35
20. შემოსავლები	35
21. გაყიდვების თვითღირებულება	36
22. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	36
23. სხვა საოპერაციო შემოსავალი	36
24. სხვა საოპერაციო ხარჯები	37
25. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	37
26. წმინდა ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)	38
27. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები	38
28. ფინანსური რისკების მართვა	39
29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	46
30. ანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	46

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შემდგომი პასუხისმგებლობის საზოგადოება „ას ჯორჯიას“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ას ჯორჯიას („კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალი შეადგენს 48,087,860 ლარს (2017: 19,197,639) და კომპანია ფლობს ვადაგადაცილებულ სესხებს. სხვა საკითხებთან ერთად სიტუაცია გვიჩვენებს, რომ კომპანიის აქტივების რეალიზაცია და მისი ვალდებულებების დაფარვა ბიზნესის ნორმალური საქმიანობისას პირდაპირ კავშირშია ხელმძღვანელობის გეგმებზე, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-შია მოხსენიებული.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცსა და „ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიში უნდა დაინეროს და წაკითხულ იქნეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. მმართველობითი ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის შემდეგ. გამომდინარე იქიდან რომ ხელმოწერის თარიღები სხვადასხვა იქნება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშის, და რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენებს ექნება ადგილი წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის შემდგომ - მმართველობის ანგარიშის გამოცემამდე, შედეგად მმართველობითი ანგარიში იქნება არსებითად განსხვავებული ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან. მიუხედავად ამისა მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი გარემოებები აღწერილი იქნება მმართველობის ანგარიშგების სპეციალურ აბზაცში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ii ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

27 სექტემბერი 2019 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს ას ჯორჯია
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქართულ ლარში	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,7	61,562,665	62,789,271
არამატერიალური აქტივები	8	40,439	22,322
საინვესტიციო ქონება	9	17,182,739	6,302,334
დაუმთავრებელი მშენებლობა	10	26,301,545	26,301,545
გაცემული სესხები	5	12,568,633	375,459
სულ გრძელვადიანი აქტივები		117,656,021	95,790,931
მიმდინარე აქტივები			
ინვენტარი მშენებლობის პროცესში	10	107,549,782	167,875,642
ინვენტარი	12	7,182,966	9,246,278
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,6,13	23,449,072	11,803,564
გაცემული სესხები	6,11	2,141,974	2,709,149
შეზღუდული ფულადი სახსრები	14	35,239,991	-
ფული და ფულის ექვივალენტები	14	14,911,769	4,367,411
სულ მიმდინარე აქტივები		190,475,554	196,002,044
მთლიანი აქტივები		308,131,575	291,792,975
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	100	100
გადაფასების რეზერვი	7	28,073,483	28,073,483
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(48,087,860)	(19,201,237)
სულ კაპიტალი		(20,014,277)	8,872,346
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი	17	-	255,833,162
ბინების გაყიდვით შემოსული წინასწარი გადახდები	16	30,890,737	2,755,266
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,890,737	258,588,428
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	16	282,276,191	19,880,463
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,18	7,728,615	4,269,133
სხვა საგადასახადო დავალიანება	19	7,250,309	182,605
სულ მიმდინარე ვალდებულებები		297,255,115	24,332,201
სულ ვალდებულებები		328,145,852	282,920,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		308,131,575	291,792,975

დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

თურალ სეიდოვი
დირექტორის მოადგილე

ირინა კამნევა
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს ას ჯორჯია
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

<i>ქართულ ლარში</i>	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	20	78,594,214	31,414,630
გაყიდვების თვითღირებულება	21	(68,517,501)	(26,307,363)
საერთო მოგება		10,076,713	5,107,267
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	22	(4,269,960)	(1,051,973)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23	317,214	291,980
ხარჯები სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(1,250,751)	(375,931)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,25	(10,304,993)	(6,432,059)
საოპერაციო მოგება/(ზარალი) ოპერაციებიდან		(5,431,777)	(2,460,716)
წმინდა საპროცენტო ხარჯები	6,26	(15,337,987)	(17,606,733)
სავალუტო ოპერაციების წმინდა მოგება/(ზარალი)	26	(6,944,462)	(4,930,368)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(27,714,226)	(24,997,817)
მოგების გადასახადის სარგებელი(ხარჯი)		-	-
(წლის მოგება (ზარალი))		(27,714,226)	(24,997,817)
სხვა სრული შემოსავლები			
სულ სრული შემოსავლები(ზარალი) წლის განმავლობაში		(27,714,226)	(24,997,817)

დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

თურალ სეიდოვი
დირექტორის მოადგილე

ირინა კამნევა
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს ას ჯორჯია
კონსოლიდირებული აგნარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ქართულ ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		100	5,796,580	28,073,483	33,870,163
წლის ბარალი		-	(24,997,817)	-	(24,997,817)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		100	(19,201,237)	28,073,483	8,872,346
ბასს 9-ის ეფექტი	5	-	(1,172,397)	-	(1,172,397)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		100	(20,373,634)	28,073,483	7,699,949
წლის ბარალი		-	(27,714,226)	-	(27,714,226)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		100	(48,087,860)	28,073,483	(20,014,277)

დამტკიცებული და ხელმოწერილია 999დირექტორთა საბჭოს სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს

თურალ სეიდოვი
დირექტორის მოადგილე

ირინა კამნევა
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს ას ჯორჯია

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ქართულ ლარში	შენიშვნა	2018	2017
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(27,714,226)	(24,997,818)
კორექტირებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	13	1,781,718	564,743
საპროცენტო ხარჯი	26	15,895,072	17,707,143
საპროცენტო შემოსავალი	26	(557,085)	(100,410)
ძირითადი საშუალებების გასვლა/გაყიდვიდან მიღებული ზარალი	23	(8,216)	200,733
ცვთა და ამორტიზაცია	7	5,295,207	1,330,278
სავალუტო ოპერაციების წმინდა (ზარალი)/მოგება	26	6,947,273	4,930,368
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		1,639,743	(364,963)
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე საოპერაციო აქტივების (ზრდა)/შემცირება:			
მშენებლობის პროცესში მყოფი ინვენტარის შემცირება / (ზრდა)	10	48,928,960	13,965,228
სხვა გრძელვადიანი აქტივების შემცირება		-	88,426
შეზღუდული ფულადი სახსრების ზრდა	14	(35,104,755)	-
ინვენტარის შემცირება	12	2,063,312	3,074,796
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება	13	(8,466,928)	(648,103)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (შემცირება):			
სხვა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	19	7,067,704	181,764
საგადასახადო დავალიანება დივიდენდებზე		-	(4,300,000)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)	18	3,333,197	(892,164)
ბინების გაყიდვით შემოსული წინასწარი გადახდების ზრდა/(შემცირება)	17	28,135,471	1,748,575
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები გადასახადების გადახდამდე		47,596,704	12,853,559
მიღებული პროცენტი		23,204	801
გადახდილი პროცენტი		(6,176,847)	(9,890,070)
გადახდილი გადასახადები		(3,166,186)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		38,276,875	2,964,290
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების	7	(3,711,822)	(208,073)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(20,900)	-
ძირითადი საშუალებების განკარგვიდან მიღებული შემოსავალი		170,716	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,562,006)	(208,073)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდები		-	-
გაცემული სესხები	11	(12,451,355)	(2,984,999)
შემოსავალი სესხებიდან	16	(12,209,223)	(2,138,179)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(24,660,578)	(5,123,178)
<i>კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე</i>		490,067	268,295
წმინდა (კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		10,544,358	(2,098,666)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	14	4,367,411	6,466,077
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	14	14,911,769	4,367,411

დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2019 წლის 27 სექტემბერი

თურალ სეიდოვი
დირექტორის მოადგილე

ირინა კამნევა
მთავარი ფინანსური ოფიცერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს "ას ჯორჯია"-სთვის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს "ას ჯორჯია" ("კომპანია") ფუნქციონირებს საქართველოში, სადაც ის დაფუძნდა 2010 წლის 18 იანვარს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მესაკუთრეები არიან ას გროუფ ინვესტმენტ (AS Group Investment) - აზერბაიჯანი (51%) და შაჰინ მოვსუმოვი - აზერბაიჯანი (49%).

2011 წლის 29 ივლისს კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას თბილისის მერიასთან, რის მიხედვითაც კომპანია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მინიმუმ 50,000,000 აშშ დოლარის ინვესტიცია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობაში 100,000 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე ქაქუცა ქოქოყოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 წლის განმავლობაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი ფართის მშენებლობა, გაყიდვა და გაქირავება.

რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია:

საქართველო, თბილისი, 0113, ისნის რაიონი. შოთა ნადირაშვილის ქ. N24, კომერციული ფართი N1

კომპანია წარმოადგენს დედა კომპანიას, რომელიც მოიცავს შემდეგ ორგანიზაციებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი პროცენტი/ხმის უფლება (%)		ოპერაციების ტიპები
		2018		
შპს ას კონსტრაქშენი	საქართველო	100%		სამშენებლო მასალების წარმოება საბინაო და კომუნალური
შპს დირსი ფულ სერვისი	საქართველო	100%		მომსახურება

შპს დირსი ფულ სერვისი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას დაფუძნებულს საქართველოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ეწევა საბინაო და კომუნალურ მომსახურებას. კომპანიის მფლობელია შპს ას ჯორჯია (აქციების 100%). რეგისტრირებული მისამართია: ნ. ჟვანიას ქუჩა №10 (ყოფილი კეკელიძის ქ. №72) კორპუსი 2, სართული 6, ბინა 16, თბილისი, საქართველო.

შპს ას კონსტრაქშენი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას დაფუძნებულს საქართველოში, რომელიც ეწევა სამშენებლო მასალების წარმოებას საქართველოს კანონმდებლობით. კომპანიის მფლობელია შპს ას ჯორჯია (აქციების 100%). რეგისტრირებული მისამართია: შოთა ნადირაშვილის ქუჩა N24, კომერციული ფართი N1, ისნის რაიონი 0113, თბილისი, საქართველო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი.**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპები. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ასახავს წარმოდგენილ პერიოდს.

შპს ას ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგები მზადდება საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია საბუღალტრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წარმოდგენილ ყველა პერიოდში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია განიცდის ფინანსურ და ოპერაციულ სირთულეებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

- როგორც ზემოთ შენიშვნა 10-შია აღწერილი, ობიექტური მიზეზების გამო პროექტის მეორე ეტაპი თავდაპირველად განსაზღვრული პირობების შესაბამისად ვერ დასრულდა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ისინი განაახლებენ პროექტის მეორე ეტაპს 2020 წელს.
- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ზარალი და უარყოფითი მთლიანი კაპიტალი შეადგენს 48,087,860 და 19,197,639 ლარს.
- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გადასახდელი სესხები 211,629,556 ლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რამდენადაც მოხდა ქვემოთ მოცემული საკითხების გათვალისწინება:

- კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს განაახლოს პროექტი 2020 წელს რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრებით. წინა წლებთან შედარებით 2018 წელს და 2019 წლის პირველ ნახევარში რეალიზაცია გაზრდილია ორჯერ. კომპანიის მიერ გაკეთებული ბიზნეს გეგმის მიხედვით მომდევნო წლებში შესაძლებელია რეალიზაციის სავალდებულო დონის შესრულება.
- კომპანია ფლობს გასაყიდ ბინებს მთლიანი 128,216 კვადრატული მეტრის ფართობით, რომლის ღირებულებაა 124,485,828 ლარი, ბინების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები საკმარისი იქნება სასესხო ვალდებულებების დასაფარად.
- ხელმძღვანელობასა და ბანკის წარმომადგენლებს შორის არის მუდმივი დისკუსია ამ სესხების ვადის გახანგრძლივებაზე და საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე. ამჟამად კომპანია ყოველთვიურად იხდის 300,000 აშშ დოლარს თითოეულ სესხზე და საპროცენტო სესხის დარიცხვა შეჩერდა. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას უკვე გადახდილი აქვს მთლიანი სესხების 10%.

ზემოთ აღნიშნული გეგმები/ ძალისხმევა კომპანიას დაეხმარება გააუმჯობესოს ფინანსური და ოპერაციული პოზიცია. ამ გეგმების გათვალისწინებით და შემამსუბუქებელი ფაქტორების შედეგად, რომლებიც ზემოთ იქნა ახსნილი, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანია შეძლებს ფუნქციონირებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებს გამოირიცხავს, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ

როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიანი ნიშნით დაყოფას.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რაც ასევე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

შეფასების საფუძვლები.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომარეობის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის შესაბამის საწარმოს ფუნქციურ ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი მიიჩნევა მოგებად ან ზარალად (გარდა სრული მოგების ფულად ნაკადებად ჰეჯირებისა). არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, გაანგარიშდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი ნივთები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში (მაგ. გასაყიდად ხელმისაწვდომი სააქციო ინსტრუმენტები) წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მომენტისთვის არსებული გაცვლითი სავალუტო კურსის შესაბამისად.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი		
	USD	EUR	AZN
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	1.5786
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	1.5249

გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივები (ან განკარგვის ჯგუფები). გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივები (ან განკარგვის ჯგუფები) წარმოადგენს აქტივს, რომლის საბალანსო ღირებულებაც ძირითადად რეგენერირდება გაყიდვის ტრანზაქციების მეშვეობით, ვიდრე გრძელვადიანი გამოყენების გზით. ამ შემთხვევაში, გაყიდვა უნდა იყოს მეტად სარწმუნო და გრძელვადიანი აქტივი (ან განკარგვის ჯგუფი) ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაუყოვნებელი გაყიდვისთვის მისი ამჟამინდელი მდგომარეობით. მენეჯმენტის შესაბამისი დონე უნდა წარმოადგენდეს გაყიდვას, რომელიც მიიჩნევა, როგორც დასრულებული გაყიდვა ერთი წლის განმავლობაში მისი კლასიფიკაციიდან. განკარგვის ჯგუფები და გასაყიდად წარმოდგენილი გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაკლები ფასით, თუ ეს ფასი წინა თანხაზე ნაკლებია. მას შემდეგ, რაც აქტივი კლასიფიცირდება, როგორც გაყიდვაში არსებული, ან შეტანილი გასაყიდი აქტივების ჯგუფში, მისი შემდგომი ცვთა ან ამორტიზაცია შეფასებას არ ექვემდებარება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება ღირებულების მიხედვით, არსებული ცვეთისა და გაუარესების გათვალისწინებით (საჭიროების შემთხვევაში). მიწის ნაკვეთის შეფასება ხორციელდება გადაფასებული თანხისა და მისი სამართლიანი ღირებულების მიხედვით გადაფასების თარიღისთვის, სამართლიანი ღირებულების საიმედოდ მიჩნევის შემთხვევაში.

მცირე რემონტისა და შეკეთების ხარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში. ხდება ქონების ძირითადი ნაწილებისა და კომპონენტების შეცვლის, ძირითადი საშუალებების ღირებულების კაპიტალიზება და შეცვლილი ნაწილების ჩამონერა.

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის მენეჯმენტის აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივების სამართლიანი ღირებულების შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით და გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ზარალისა და სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში იმ მოცულობით, რომლითაც აღემატება წინა გადაფასების რეზერვს კაპიტალში. წინა წლების აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი იცვლება იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება გამოყენებული აქტივების სამართლიანი ღირებულება შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით გაიზარდა.

შემოსავლები და ხარჯები ძირითადი საშუალებების გასვლიდან აისახება მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა. მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ფასის კლება გამოითვლება თანაბრად, ქვემოთ მოცემული სავარაუდო სასიცოცხლო ციკლების გათვალისწინებით:

სასარგებლო მომს. წლების
განმავლობაში

მიწა	უღიმიტო
შენობა	50 წ
ძირითადი საშუალებები	10 წ
სატრანსპორტო საშ.	10 წ
ავეჯი და სხვა საშ.	5-10 წ
კომპიუტერული ტექნიკა	5 წ
სხვა ტექნიკა	5-10 წ

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებითი ღირებულება რასაც კომპანია მიიღებდა მისი გაყიდვიდან შემცირებული გაყიდვის დანახარტებით ისე თითქოს აქტივი ყოფილიყო იმ წლოვანების რაც განსაზღვრულია მისი გამოყენების დასრულების დროს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადების, ნარჩენი ღირებულებებისა და ცვთვის დარიცხვის მეთოდის გადახედვა, ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგის პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გაზრდის მიზნით (ან ორივე შემთხვევაში), მაგრამ არა გასაყიდად კომპანიის ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობაში, ან წარმოების ან მიწოდებისთვის, ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით. თუ საინვესტიციო ქონების გამოყენების მიზნები იცვლება, როგორც მაგალითად, რეკლასიფიცირდა როგორც ძირითადი საშუალება, მისი სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისათვის ხდება მისი თვითღირებულება შემდგომი აღრიცხვისთვის.

საინვესტიციო ქონების ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატურად გადასანაწილებლად მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომს. წლების განმავლობაში

მიწა

ულიმიტო

შენობა

30 წ

საოპერაციო იჯარა. იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად გადმოდის ჯგუფში. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით საიჯარო პირობების შესაბამისად. იჯარის ვადა წარმოადგენს არა-გაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც მოიჯარემ გააფორმა კონტრაქტი აქტივის იჯარით, შემდგომი გადახდის პირობით ან მის გარეშე, როცა იჯარის დაწყებისას მოიჯარეს შეუძლია გონივრულად გააკეთოს არჩევანი.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. თუ კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ლიზინგის დროს, რომელსაც გადაეცემა კომპანიის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და წახალისება, იჯარით გაცემული აქტივები კაპიტალიზდება ქონებაში, საწარმოსა და აღჭურვილობაში იჯარის დასაწყისისთვის საიჯარო აქტივების სამართლიანი ღირებულების მინიმალური სამართლიანი ღირებულებით. თითოეული იჯარის გადახდა გადანაწილებულია ვალდებულებებსა და ფინანსურ ხარტებს შორის, მუდმივი ფინანსური ბალანსის უზრუნველსაყოფად. სესხებში შედის შესაბამისი გაქირავების ვალდებულებები, მომავალი ფინანსური ხარტების ჩათვლით. საპროცენტო სარგებელი ეკისრება საშემოსავლო ანგარიშს საიჯარო პერიოდში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ლიზინგის დროს შეძენილი აქტივები უფასურდება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის ან უფრო მოკლე საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ კომპანია სათანადოდ არ არის დარწმუნებული, რომ მიიღებს ფლობის უფლებას იჯარის ვადის დასრულებისთვის.

მიღებული სესხების ხარტები. სესხის ხარტები უშუალოდ მიეკუთვნება იმ აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც აუცილებლად იღებს გარკვეულ პერიოდს, რათა მოემზადოს მიზნობრივი გამოყენების ან გაყიდვისთვის, კაპიტალიზდება შესაბამისი აქტივების ღირებულების ნაწილად. ყველა სხვა სესხის ხარტები ანგარიშდება იმ პერიოდის მიხედვით, რა დროსაც ადგილი აქვს მათ გამოყენებას. სესხის ხარტები შედგება პროცენტისა და სხვა ხარტებისაგან, რომლებიც პირდაპირ კავშირშია თანხების სესხებასთან.

არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ბიზნეს კომბინაციით შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება განისაზღვრება შეძენის დღისთვის არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივების თვითღირებულება მცირდება დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურებით (თუ არსებობს გაუფასურების ინდიკაცია). ჯგუფში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარტების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარტები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა განეულ იქნა ეს დანახარტები.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს სასარგებლო ეკონომიკური ვადით და ფასდება ამორტიზებულად, როდესაც არსებობს მითითება არამატერიალური აქტივების გაუფასურების შესახებ. ამორტიზაციის პერიოდი და სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდი განიხილება ყოველ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო ვადის ცვლილებები ან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ცვლილებები აქტივში აისახება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის ცვლილებით და შედის სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებების სახით. სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის ხარჯი სრული შემოსავლის საშემოსავლო ანგარიშგებაში აღიარებულია როგორც პერიოდის ხარჯი.

განუსაზღვრელი სარგებლობის მქონე არამატერიალური აქტივებს არ ერიცხება ამორტიზაცია, მაგრამ მოწმდება ყოველწლიურად გაუფასურებაზე. განუსაზღვრელი სარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და ფასდება რამდენად არის არამატერიალური აქტივის მომსახურების ვადა ისევ განუსაზღვრელი. თუ მოხდა ცვლილება განუსაზღვრელი სარგებლო მომსახურების ვადა იცვლება განსაზღვრულით პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც მოხდა არამატერიალური აქტივის გასვლა.

ინვესტიცია შვილობილში, მეკავშირესა და ერთობლივ საწარმოში - ცალკემდგომ ფინანსურ ანგარიშგებაში, ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ასოცირებულ კომპანიებთან და ერთობლივი საქმიანობაში წარმოდგენილია ბასს 27 -ის შესაბამისად თვითღირებულებით. პირველადი აღიარების ღირებულება არის ნაღდი ფულით ან ფულის ექვივალენტით ან კლიენტის მიერ მიღებული სხვა მოსაზრების სამართლიანი ღირებულების ოდენობის გადახდილი თანხა. ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შეძენასთან.

თუ ინვესტიცია ხდება უცხოურ ვალუტაში:

თუ შესყიდვის საფასურის გადახდა ხდება მესაკუთრის უფლების მიღებამდე, თანხა ანგარიშდება გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის უფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

თუ შესყიდვის საფასურის გადახდა ხდება მესაკუთრის უფლების მიღებამდე, თანხა ანგარიშდება მესაკუთრის უფლებების მიღების დღეს არსებული ეროვნული ბანკის უფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გადახდილი ინვესტიციები არ ექვემდებარება კურსის ცვლილების შედეგად გამოწვეულ შემდგომ გადაფასებას. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ექვემდებარება გაუფასურებას, როდესაც არსებობს პოტენციური გაუფასურების მაჩვენებელი. როდესაც არსებობს გაუფასურების გარე ან შიდა მაჩვენებელი, უნდა განისაზღვროს რესტრუქტურიზირებული თანხა და შედარდეს წმინდა ინვესტიციასთან. თუ რესტრუქტურიზირებული თანხა მატერიალურად ან პერმანენტულად დაბალია, ვიდრე წმინდა ინვესტიცია, უნდა მოხდეს გაუფასურების აღრიცხვა. მაგისტრალური ინვესტიციის შემთხვევაში, გაუფასურების ანუღირება ვერ აღირიცხება, იმ შემთხვევაში, თუ დაცვითი ფაზა გადავა განვითარების ფაზაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით:

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფინანსური აქტივების მიმდინარე ფასს და აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნად ფასს. საბაზრო რისკების განცალკევებით აქტივებისა და ვალდებულებების შესასრულებლად კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს შუალედური საბაზრო ფასები, რის საფუძველს წარმოადგენს რისკების პოზიციების გამოსაყენებლად სამართლიანი ღირებულებების დადგენა და სატენდერო წინადადების სათანადოდ გამოყენება. ფინანსურ ინსტრუმენტად ითვლება აქტიური ბაზრის კოტირება, თუ გაცვლითი ფასები ადვილად და რეგულარულად ხელმისაწვდომია გაცვლითი ან სხვა დაწესებულებისთვის და ეს ფასები რეგულარულად ახორციელებს საბაზრო ოპერაციებს მიმდინარე წესით.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელური ან მოდელური, რომლებიც ეფუძნება ბოლო ხელმოწერებს ან საინვესტიციო ობიექტების ფინანსური მონაცემების აღრიცხვას, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რისთვისაც ხელმისაწვდომი არ არის უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. შეფასების მეთოდები სავარაუდოდ საჭიროებენ სავარაუდო საბაზრო მონაცემებით დაშვებულ მოსაზრებებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებები გაკეთდა, თუ მსგავსი მოსაზრებების შეცვლა გონივრულად შესაძლო ალტერნატივას გამოიწვევს მოგების, შემოსავლის, მთლიანი აქტივების, ან მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან განსხვავებაზე.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალ პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის შესაბამისი პერიოდის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების განაწილების მეთოდი, პერიოდული საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) უზრუნველყოფის მიზნით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აფასებს მომავალში ფულად გადახდას ან მიღებას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ეფექტურობის ან მოკლე ვადის გათვალისწინებით, თუ საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დისკონტირებას უკეთებს ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომდევნო საპროცენტო განაკვეთის ანგარიშსწორების თარიღს, გარდა პრემიისა და ფასკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო განაკვეთს, რომელიც განსაზღვრულია ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ უზრუნველნიან საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზებულია ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო ცხოვრების განმავლობაში. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო კატეგორიებიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით;
- ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალ და კაპიტალის ინსტრუმენტების კლასიფიკაციის მოთხოვნები აღწერილია ქვემოთ:

სავალ ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

ამორტიზირებული ღირებულება. ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

